დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების გზამკვლევი

მუხლი 1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების გაცემისა და მოხმარების რეგულირების გზამკვლევს. დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების ძირითადი პირობები და რეგულაციები განსაზღვრულია სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომ - სააგენტო) „სანდო და კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდების, კრიპტოგრაფიული გასაღებების სერტიფიკატის შექმნის, გაცემისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევის შინაგანაწესით“.

მუხლი 2. საკონტაქტო ინფორმაცია

დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების მიმწოდებლის დასახელება - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;
მისამართი - ზვიად გამსახურდიას სანაპიროს ქ. N1, თბილისი, საქართველო;
საფოსტო ინდექსი - 0114;
ტელ. - (+995 32) 240 10 10;
ელ.ფოსტა - online@sda.gov.ge;
ვებ-გვერდი - sda.gov.ge და id.ge.

მუხლი 3. დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების ტიპები და მიღების წესი

1. დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურება, შეზღუდული წარმადობის პირობით, მუდმივად და უსასყიდლოდ ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის მისამართზე - http://tsa.cra.ge/signserver/tsa?workerName=qtsa - შემდეგი პირობებით:
   ა) დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურებაზე მიმართვა არ მოითხოვს მომხმარებლების ავთენტიფიკაციას;
   ბ) დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურება ხელმისაწვდომია RSA-2048 ტიპის გასაღებით;
   გ) ერთი მომხმარებლის მიერ ხუთ წამში ერთზე მეტი მოთხოვნის გამოგზავნის შემთხვევაში, სააგენტო უფლებას იტოვებს, შეზღუდოს ან სხვაგვარად შეაფერხოს მომსახურების მიწოდება.
2. იურიდიული პირისთვის დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების გარანტირებული წარმადობით მიწოდება ხდება შემდეგი პირობებით:
   ა) მისამართი - http://tsa.cra.ge/signserver/tsa?workerName=qtsa;
   ბ) დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურება ხელმისაწვდომია RSA-2048 ტიპის გასაღებით;
   გ) ერთ წამში მინიმალური გარანტირებული წარმადობაა 1 მოთხოვნა;
   დ) დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების 1 წამში მაქსიმალური გარანტირებული წარმადობაა 100 მოთხოვნა;
   ე) მომსახურების პერიოდი განისაზღვრება გადახდილი თანხის ოდენობის შესაბამისად.

3. მომსახურების გამოყენების წესი რეგულირდება სააგენტოს „დროის კვალიფიციური აღნიშვნის გაწევისა და მომსახურების პოლიტიკით“ (პოლიტიკის უნიკალური იდენტიფიკატორია: 1.3.6.1.4.1.37733.10.5.1.1.0).
4. დროის აღნიშვნის ერთეულების სერთიფიკატები გამოქვეყნებულია შემდეგ მისამართზე - id.ge.

მუხლი 4. სანდოობის საზღვრები

1. დროის კვალიფიციური აღმნიშვნელი თითოეული ერთეული დროის აღნიშვნის ტოკენს ხელს აწერს უნიკალური დახურული გასაღებით, რომელიც მხოლოდ ამ მიზნისთვის (დროის აღნიშვნის ტოკენზე ხელმოსაწერად) გამოიყენება.
2. დროის აღმნიშვნელი ერთეულის გასაღები და სერტიფიკატი იცვლება წელიწადში ერთხელ. დროის აღმნიშვნელი ერთეულის სერტიფიკატის მოქმედების ვადა შეადგენს 8 წელს.
3. დროის კვალიფიციური აღნიშვნის საერთაშორისო კოორდინირებული დროიდან (UTC) დასაშვები გადახრა შეადგენს მაქსიმუმ 1 წამს.
4. დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების ჩანაწერები ინახება დაცულ გარემოში და ექვემდებარება პერიოდულ არქივირებას.

მუხლი 5. მომხმარებლის და წარმომადგენლის ვალდებულებები

მომხმარებელი/წარმომადგენლი, რომელიც სარგებლობს დროის კვალიფიციური აღნიშვნის გარანტირებული წარმადობით მიწოდების მომსახურებით, ვალდებულია:

ა) წარმოადგინოს შინაგანაწესით მოთხოვნილი სწორი და სრულყოფილი ინფორმაცია დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების გარანტირებული წარმადობით მიღებისათვის;

ბ) ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, დროულად მიაწოდოს ინფორმაცია სანდო მომსახურების მიმწოდებელს.

მუხლი 6. დროის აღნიშვნის ერთეული (TSU) სერთიფიკატები სტატუსის შემოწმება

1. დროის აღმნიშვნელი ერთეულების (TSU) სერტიფიკატების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია სააგენტოს ვებ-გვერდზე - https://id.ge/tsp/generalpki/.
2. სერტიფიკატის სტატუსის ავტომატური შემოწმების მომსახურება განკუთვნილია ნებისმიერი პირისთვის და მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი მიზნით, მომხმარებლის შეხედულებისამებრ. ავტომატურ რეჟიმში სტატუსის შესახებ ინფორმაციის გადამოწმება შესაძლებელია მისამართზე - http://ocsp.cra.ge/ocsp.
3. გაუქმებული სერტიფიკატების სია ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის მუდმივად და უსასყიდლოდ შემდეგ მისამართზე - http://crl.cra.ge/sdatimestampingca[g(n)].crl, სადაც [g(n)] ცვლადია და უნდა მიეთითოს სერტიფიკატის გამცემი ორგანოს რიგითი ნომერი.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა და ზიანის ანაზღაურება

1. სანდო მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, ვალდებულებების შესასრულებლად და შესაძლო ზიანის ასანაზღაურებლად ჰქონდეს საკმარისი ფინანსური რესურსები და გარანტიები;

2. სანდო მომსახურების მიმწოდებელი მომხმარებლებისა და კონტრაჰენტების მიმართ პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ პირდაპირი ზიანის მიყენების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში.
3. სანდო მომსახურების მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი:
   ა) იმ პროგრამული ან/და აპარატურული სისტემების გაუმართავი მუშაობით გამოწვეულ ზიანზე, რომლებსაც მომხმარებლები ან/და კონტრაჰენტები გამოიყენებენ ტოკენის მოთხოვნის გასაგზავნად ან მიღებული ტოკენის სისწორის შესამოწმებლად;
   ბ) იმ მონაცემების შინაარსზე, რომლებიც შეიძლება მომხმარებელმა გამოგზავნოს მათზე დროის აღნიშვნის ტოკენის მიღების მიზნით;
   გ) დროის აღნიშვნის ტოკენის გაცემაზე იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა შემოსულია შინაგანაწესით დადგენილი ტექნიკური სტანდარტის დარღვევით;
   დ) ზიანზე, რომელიც მიადგა მხარეს იმ შემთხვევაში, თუ მან დროის აღნიშვნის ტოკენზე დაყრდნობამდე არ გადაამოწმა მისი სისწორე საგენტოს ვებ-გვერდზე - www.id.ge.

მუხლი 8. მარეგულირებელი ჩარჩო

დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების გაცემა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და შემდეგი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტებით:

ა) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ დროის კვალიფიციური აღნიშვნის გაწევისა და მომსახურების პოლიტიკა“ (იხ. ვებ-გვერდზე - https://id.ge/tsp/generalpki/);

ბ) „სანდო და კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდების, კრიპტოგრაფიული გასაღებების შექმნის, გაცემისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევის შინაგანაწესი“ (იხ. ვებ-გვერდზე - https://id.ge/tsp/generalpki/).

მუხლი 9. პერსონალურ მონაცემთა დაცვა

დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების მიწოდება ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სააგენტოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ შესაბამისად.

მუხლი 10. თანხის დაბრუნება

ამ მომსახურებისათვის გადახდილი საფასურის დაბრუნების წესი და პირობები განისაზღვრება იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადების, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების ოდენობების და საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 508 დადგენილებით.

მუხლი 11. გასაჩივრება და დავის გადაწყვეტა

დავები უნდა გადაწყდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. სანდოობა და აუდიტი

1. სანდო მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდებისათვის ავტორიზაციის მისაღებად, ასევე კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდების პროცესში არანაკლებ 2 წელიწადში ერთხელ საზედამხედველო ორგანოს წარუდგინოს მის მიერ გაწეული მომსახურების კანონსა და სტანდარტებთან შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელიც გაცემულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ISO/IEC 17065 სტანდარტის მოქმედი ვერსიის მიხედვით აკრედიტებული სერტიფიცირების იმ ორგანოს მიერ, რომლის აკრედიტაციის სფეროა სანდო მომსახურების მიმწოდებელთა შესაბამისობის შემოწმება ETSI EN 319 403 სტანდარტის მიხედვით.
2. სააგენტოსთვის დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების გაწევაზე ავტორიზაციის ბრძანება განთავსებულია შემდეგ მისამართზე : https://dga.gov.ge/?m=articles&id=1jlI2eujjO.
3. სააგენტოს მიერ გაწეული დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურება განთავსებულია საქართველოს სანდო მომსახურების მიმწოდებლებისა და მათ მიერ შეთავაზებულ მომსახურებათა სიაში: https://dga.gov.ge/files/GeorgianTSL.xml.